პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 103 (9194)
29 მაისი
ხუთშაბათი,
1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

## მთავარი მწვრთნელი

არის სპორტში ასეთი თანამდებობა — მთავარი მწვრთნელი. ამ თანამდებობაზე დანიშნული სპეციალისტი უშუალოდ სპორტსმენებთან არ მუშაობს, მაგრამ პასუხს კი აგებს მათი მომზადებისა და შეჯიბრებებში მიღებული შეფასებისთვის. უფროსი მწვრთნელი, ასე ვთქვათ, უმაღლესი ფიგურაა სპორტის იმ სახეობაში, რომელსაც ის ემსახურება.

უსაზღვროდ დიდია უფროსი მწვრთნელის უფლებები, მაგრამ ასევე უსაზღვროდ საპასუხისმგებლოა მისი მოვალეობა. ფაქტობრივად მართვის ყველა სადავე ამ ერთი კაცის ხელში იყრის თავს და ეს უკვე თავისთავად მიგვანიშნებს დიდ პასუხისმგებლობაზე. მუშაობის კოორდინაცია და სწორი კურსით წარმართვა, მწვრთნელთა ერთი მიზნით შეკავშირება და მათ ურთიერთობაში კოლეგიალობის დამყარება, საბოლოო ანგარიშით—სპორტის ამა თუ იმ სახეობების განვითარების მწყობრი, მოქნილი სისტემის შექმნა — აი, რა არის მთავარი მწვრთნელის უპირველესი ამოცანა. ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, იგი „ამინდს“ ქმნის. მაგრამ მთავარი მწვრთნელის მოვალეობა მხოლოდ დიდ სპორტზე ზრუნვა როდია, იგი ვალდებულია ზრუნავდეს მასობრიობისთვის და როგორც უკუგების დასტური, ოსტატობაც ჩააყენოს მასობრიობის სამსახურში.

გულახდილად უნდა ითქვას: თუ სპორტის ბევრ სახეობაში დღეს კარგად არ გვაქვს საქმე, თუ ზოგან დაქსაქსულად და უსისტემოდ ტარდება მუშაობა, ამაში „ლომის წილი“ პირველ ყოვლისა მთავარ მწვრთნელს უდევს. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეუძლია მთავარ მწვრთნელს ზეგავლენა მოახდინოს სპორტის შესაბამისი სახეობის განვითარებაზე, თუნდაც კრივისა და სამბოს დასახელება კმარა. ეს სახეობები არცთუ შორეულ წარსულში ჩამორჩენილთა რიგებში იყო, დღეს კი სანიმუშოდ არის მიჩნეული.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ მთავარი მწვრთნელის სამუშაო დღის ქრონომეტრაჟი. თუმცა, ორგანიზაციული მუშაობა დაიხვეწა, მაინც მთავარი მწვრთნელი დიდ დროს ახმარს შეკრებების თუ შეჯიბრების ჩატარების, სპორტული ბაზების გამოყოფის, თუ სპორტული ინვენტარის საკითხების გადაწყვეტას. მთავარ მწვრთნელს იშვიათად ნახავთ საქალაქო და რაიონულ შეჯიბრებებზე, აღარაფერს ვამბობთ ბავშვთა სპორტულ სკოლებისა თუ ფიზკულტურული კოლექტივებისადმი მათ დამოკიდებულებაზე, ყურადღების გარეშე რჩებათ დაფარული შესაძლებლობები, რეზერვთან მუშაობა. შემრიგებლური დამოკიდებულება პრობლემებისადმი, კიდევ უფრო უკან სწევს საქმეს. ნუ გაგიკვირდებათ და, მთავარ მწვრთნელთა ერთი ნაწილი კარგ „იურისტებად“ იქცა, ათას საბუთს მოიტანენ ოღონდ როგორმე თავიანთი ინერტულობა და, აქედან გამომდინარე, სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ჩამორჩენა გაამართლონ. ასე აღარ შეიძლება, ამგვარად მუშაობას ვერ გარდავქმნით და დროის მოთხოვნების მხარდამხარ ვერ ვივლით. ან უნდა გარდავიქმნათ და მუშაობაც გარდავქმნათ, ან გზიდან განზე უნდა გავდგეთ და სხვას დავუთმოთ წინამძღოლის ადგილი, ალტერნატივა აქ არ შეიძლება არსებობდეს.

მთავარი მწვრთნელის უფლებები კიდევ უფრო გაფართოვდა მას შემდეგ, რაც ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი სახელმწიფო კომიტეტად გადაკეთდა. მაგრამ გაიზარდა მოთხოვნაც — მთავარ მწვრთნელს დღეს გაცილებით მეტი მოეთხოვება, ვიდრე ოდესმე.

დიახ, მთავარი მწვრთნელი სპორტში მთავარი ფიგურაა, ამ საპატიო სახელს კი გაფრთხილება უნდა — გაფრთხილება საქმით, პრაქტიკული მოღვაწეობით, ქართული სპორტის საკეთილდღეოდ მუხლჩაუხრელი გარჯით.

**როცა მშობელი აშკარად ერევა მწვრთნელის საქმიანობაში, ან ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს მსაჯებზე, ირყევა სპორტში მიუკერძოებლობის რწმენა. სამწუხაროდ, მშობელთა ასეთი „აქტიურობის“ ფაქტები ბოლომდე არ აღმოფხვრილა.**

იხ. მე-2 გვ.

## ტურისტულ ბილიკებზე გამოდიან თბილისელი ექიმები

ივნისი
**14**
შაბათი

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა უკვე იციან, ჩვენი რედაქცია გამოვიდა თაოსნობით — მთელი წლის განმავლობაში დასვენების დღეებში რესპუბლიკაში მოეწყოს მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, მივაღწიოთ ამ ღონისძიებათა სისტემატურობას და უწყვეტობას. ამ სიმბოლურ ესტაფეტას ჩვენ „ჯანმრთელობის ესტაფეტა“ ვუწოდეთ. მკითხველს ისიც მოეხსენება, რომ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა მოიწონა „ლელოს“ თაოსნობა. უკვე შემუშავებულია მთელი წლის ღონისძიებების კალენდარი, რომელსაც ცალკე გამოვაქვეყნებთ.

ჩვენმა რედაქციამ კიდევ ერთი ღონისძიების ჩატარების ორგანიზაცია ითავა. 14 მაისს მოწინავე წერილში ვწერდით: „ახლო მომავალში „ლელო“ პირველად ჩაატარებს და შემდეგ ტრადიციად დაამკვიდრებს ტურისტულ ლაშქრობას თბილისის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის. გვინდა მათ თავად იგრძნონ და განიცადონ მოძრაობის, ბუნების წიაღში გატარებული ერთი დღის სიკეთე. დარწმუნებული ვართ, ამის შემდეგ ბევრი ექიმი პაციენტებს რეცეპტის ნაცვლად იმ მარშრუტს „გამოუწერს“ სამკურნალოდ, რომელიც თავად გაიარა“.

მხარდაჭერამ არ დააყოვნა.

**ამ დღეებში წერილი მივიღეთ თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოდან:**

„გაცნობებთ, რომ თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველომ განიხილა „ლელოს“ 14 მაისის ნომერში გამოქვეყნებული მოწინავე წერილი „ჯანმრთელობის ესტაფეტა“ და გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს რედაქციის თაოსნობას. ჩვენ მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ „ლელოს“ მიერ შემოთავაზებულ ტურისტულ ლაშქრობაში თქვენთვის ნაცნობი მარშრუტით და შემოვდივართ წინადადებით ეს ღონისძიება ჩავატაროთ შაბათს, 14 ივნისს მედიცინის მუშაკის დღის წინა დღეს. მომავალში კი ამ ღონისძიებას ტრადიციად დავამკვიდრებთ“.

გია აბესაძე,
თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსი.

აი, ამ მარშრუტზე გამოვლენ 14 ივნისს თბილისელი ექიმები




**რედაქციისაგან:** თბილისის ჯანმრთელობის სამმართველოს მხარდაჭერა და საკითხისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება მისასალმებელია. 15 ივნისი „მედიცინის მუშაკის დღეა“. 14 ივნისს ამ დღის აღსანიშნავად ტურისტულ ბილიკებზე მხოლოდ თბილისელები რატომ უნდა გამოვიდნენ?

ველით გამოხმაურებას რესპუბლიკის სხვა რეგიონებიდან. როგორი იქნება ჯანმრთელობის სამინისტროს პოზიცია?

## კიდევ ერთი ტური

**სამტრედია**, 28 მაისი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 42-ე ჩემპიონატში გაიმართა XIII ტურის შეხვედრები.

ამ დღეს ტერელაძემ მოუგო ალიხანაშვილს, ჩხაიძემ — თანდაშვილს, მესხმა — ფეჰლევანოვას. ყაიმზე შეთანხმდნენ ქ. მელაშვილი — ფანიაშვილი, ნიკოლაძე — კახიანი, ქასოშვილი — კახაბრიშვილი. ლაგვილავა — კურცხალიას პარტია გადაიდო. ნინო მელაშვილის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა წერეთელთან.

13 ტურის შემდეგ ლიდერობენ ქეთევან მელაშვილი — 10 ქულა, სოფიკო ტერელაძე — 9, ნინო მელაშვილი — 8,5 (1), ციალა ქასოშვილი — 8, მზია წერეთელი — 7,5 (1), ცირინო კახაბრიშვილი, ქეთევან კახიანი — 7,5-7,5, ჰენრიეტა ლაგვილავა — 7 (2).




## პირველი ოლიმპიადა

**ჰოლანდიის** პატარა ქალაქ ვალკენბურგში მიმდინარეობს პირველი მსოფლიო ოლიმპიადა ასუჯრიან შაშში.

ოლიმპიადის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის წარმატებით იბრძვის საბჭოთა გუნდი — მსოფლიო ჩემპიონი განტვარგი, დიდოსტატები ბელიაკინი და მიშჩანსკი. მათ ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგეს.

დიდი ალმავლობით თამაშობს ჰოლანდიის ნაკრებიც, რომელმაც აგრეთვე ყველა მატჩი მოიგო.

6 ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა და ჰოლანდიელი მოშაშეები — 12-12 ქულა.

### ინფორმაცია

**ჩირჩიკი (უზბეკეთი).** აქ დაიწყო ტექნიკურ სახეობებში საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი სროლაში. დოსააფის გუნდმა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სწრაფსროლაში (25 მეტრზე) 1704 ქულა დააგროვა და საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა. სარეკორდო შედეგით აღინიშნა სვერდლოვსკელი ლუდმილა ხომილიოვას გამოსვლა პირად შეჯიბრებაშიც — 583 ქულა.

**ჰააგა.** სინქრონულ ცურვაში მსოფლიო თასის გათამაშება საბჭოთა ნაკრებმა მოიგო (ჯგუფური ვარჯიშები). დუეტთა შეჯიბრებაში საპატიო ჯილდო შვეიცარიელებმა მოიპოვეს. მოსკოველი ალფია ჟამალეტდინოვასა და მარია ჩერნიაევას წყვილი მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

## გზა მაიამ დაულოცა

**იუგოსლავიის** ქალაქ ბუგოინოში დაიწყო დიდოსტატთა ორწრიანი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მონაწილეთა სიძლიერით ფიდე-ს კლასიფიკაციით უმაღლესი, მე-16 კატეგორიისაა. მსგავსი ტურნირი პირველად ტარდება მოჭადრაკეების შეჯიბრებათა ისტორიაში და იგი მსოფლიო პირველობის მატჩების გათამაშების 100 წლის თავს ეძღვნება.

ტურნირში 8 მოჭადრაკე მონაწილეობს: მსოფლიოს ექსჩემპიონები ანატოლი კარპოვი (სსრ კავშირი), ბორის სპასკი (საფრანგეთი), დიდოსტატები არტურ იუსუპოვი, ანდრეი სოკოლოვი (ორივე — სსრ კავშირი), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ენტონი მაილსი (ინგლისი) და იან ტიმანი (ჰოლანდია).

შეჯიბრება გახსნა საპატიო სტუმარმა, სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა, დიდოსტატმა მაია ჩიბურდანიძემ.

I ტურში მაილსმა სძლია ლიუბოევიჩს. დაზავდნენ სპასკი და კარპოვი. პორტიშ — სოკოლოვისა და იუსუპოვ — ტიმანის პარტიები გადაიდო.

II ტურში ორი პარტია დამთავრდა და ორიც გადაიდო. ქულა გაიყვეს პორტიშ — მაილსმა და ლიუბოევიჩ — სპასკიმ. დაუმთავრებელი დარჩა კარპოვ — იუსუპოვისა და სოკოლოვ-ტიმანის პარტიები. ჯერჯერობით დაწინაურდა მაილსი, რომელსაც 1,5 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან სპასკი (1 ქულა), კარპოვი და პორტიში (0,5 ქულა და თითო დაუმთავრებელი პარტია), სოკოლოვმა იუსუპოვმა და ტიმანმა ორივე სასტარტო პარტია გადადეს.

## SOS

**გუშინ** საღამოს ელვა-დეპეშა მივიღეთ ქუთაისიდან. აი, რას გვატყობინებენ ბუხაიძის ქუჩის მეორე მიკრორაიონის მცხოვრებლები, ცაგარეიშვილი, ლომთაძე, ცერცვაძე, მჭედლიძე და სხვები:

**„გვიშველეთ სანამ გვიან არ არის. ექვსი 9-სართულიანი სახლის 392 ოჯახს გვქონდა 400 კვადრატული მეტრი ფართობის საბავშვო და სპორტული მოედანი. მოვიდნენ მშენებლები, მოედანი გადათხარეს. როგორც გვითხრეს, იწყებენ ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას. სასწრაფოდ მოვითხოვთ საქმეში თქვენს ჩარევას“.**

რედაქცია ქალაქის ხელმძღვანელებისგან ელოდება სასწრაფოდ საპასუხო დეპეშას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები ხმამაღლა

# ვითომ ქველმოქმედებით?

⊙ მშობლების მხარდაჭერა საჭიროა, მაგრამ... ⊙ ნუ დავჩაგრავთ პერსპექტიულ სპორტსმენებს
⊙ ბათუმში და სოხუმში ჩოგბურთელთა ტურნირებში უხეშად დაარღვიეს დებულების მოთხოვნები
⊙ ვისი ნებართვით აცდენენ მშობლები სამსახურს და ბავშვები სკოლას?

დღეს ყველამ კარგად იცის, რომ სპორტის გაახალგაზრდავების პროცესს ველარაფერი შეაჩერებს. ნაკრებ გუნდებში უფროსების ადგილს ცეროდენები იჭერენ. ახლა ქვეყნის, მსოფლიოს თუ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები შეიძლება სკოლის მერხთანაც იხილოთ და ეს აღარავის აკვირვებს. სპორტული აქსელერაციის პირობებში, ბუნებრივია, მშობელი ძალაუნებურად უკავშირდება სპორტს, იგი მხარში უდგას მწვრთნელს და ეხმარება მას. ასეთი მშობლების მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის. ისინი ბევრნი, ძალიან ბევრნი არიან, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, ზოგი სულ სხვაგვარად იყენებს ამ ურთიერთობას და სიახლოვის აუცილებლობას; ეს ერთეულები ხელს უშლიან მწვრთნელებს, აღშფოთებას იწვევენ პატიოსან მშობელთა შორის.

იმის შესახებ, თუ როგორ ზედმეტად აქტიურობს ხშირად ესა თუ ის მშობელი, როგორ ექცევიან მწვრთნელები ახეთი „გავლენიანი" მშობლების ზემოქმედების ქვეშ, ჩვენს გაზეთში არაერთხელ გვქონია საუბარი. მაინც რაში გამოიხატება მათი „ქველმოქმედება?" ისინი შეჯიბრებებზე დაჰყვებიან გუნდებს, უშუალოდ მონაწილეობენ შეკრებებისა თუ ასპარეზობების ორგანიზაციაში, აშკარად ერევიან გუნდის დაკომპლექტებაში და ა. შ. როგორ გგონიათ, ყველაფერი ეს უანგაროდ, საერთო ინტერესების სასარგებლოდ კეთდება? ახეთი მშობლები ტყუილუბრალოდ არ ირჯებიან და იხარჯებიან, სხვის საამებლად არ აცდენენ სამსახურს. საბოლოო ანგარიშით კი აი რა ხდება: ასეთი მშობლის შვილი აუცილებლად უნდა მოხვდეს ნაკრებში, იმსახურებს თუ არა, აუცილებლად უნდა გამოვიდეს შეჯიბრებაში, სკოლის დამთავრებისას კი, ცხადია, ბავშვმა ყოველგვარი შეღავათებიც აუცილებლად უნდა მიიღოს. აქ თავს იჩენს საკუთარი შვილის შესაძლებლობათა გაყალბებული შეფასება, ამბიციები...

ზოგჯერ მშობელთა „ქველმოქმედება" წრეგადასულ ხასიათს იძენს, აშკარად ცვლის შეჯიბრების ხასიათს, მსაჯებს აიძულებს დაარღვიონ დებულება. ასპარეზობის ორგანიზატორები ხშირად აღმაშფოთებელი ფაქტის წინაშე დგებიან — იჩაგრება ნიჭიერი სპორტსმენი. მაგრამ, მოდით კონკრეტული მაგალითებით ვისაუბროთ.

ამას წინათ ბათუმში ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი ჩატარდა. ჩვენი რესპუბლიკიდან ამ შეჯიბრებაში 20 ჩოგბურთელს უნდა ესპარეზა (ქალები და ვაჟები), ბათუმში კი 24 სპორტსმენი ჩავიდა. დებულების დარღვევით მოისურვეს ტურნირში მონაწილეობა ერიკ აზნაუროვმა („დინამო", მწვრთნელი ბორის სენჩუკოვი), ირაკლი სვანიძემ („განთიადი", მწვრთნელი ვიქტორ ბაქში), თამარ ლომიძემ („განთიადი", მწვრთნელი გ. ლარიბაშვილი), ვ. პერეკრისტოვამ (მწვრთნელი გ. ლარიბაშვილი). სვანიძე, ლომიძე და პერეკრისტოვა თვით მთავარმა მსაჯმა გიორგი ლარიბაშვილმა ჩაიყვანა ბათუმში. ერიკ აზნაუროვს კი მამა ჩაჰყვა შეჯიბრებაზე. მშობელი ახლდა სვანიძესაც. ასპარეზობის უფლება ოთხივეს მისცეს, რითაც უხეშად დაირღვა საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის საგანგებო ბრძანება, რომელიც მსაჯებს აფრთხილებდა დამატებით არავინ დაეშვათ შეჯიბრებაზე. მონაწილეთა სია წინდაწინ დამტკიცდა და შეთანხმებული იყო კომიტეტის შესაბამის განყოფილებასთან.

მერე რა მოხდა, რატომ არის ასეთი სიმკაცრე, — იკითხავს ზოგიერთი. მოხდა ის, რომ შეჯიბრებაზე საკუთარი ხარჯებით, თვითნებურად წასული სპორტსმენი რალაც ხრიკებით სარბიელზე ოფიციალურად გამოჰყავთ და... საკავშირო კლასიფიკაციის წიგნში ხვდება, რომლის მიხედვითაც შემდეგ საკავშირო შეჯიბრებებზე იღებს მიწვევას. ამით იგი ფაქტობრივად გზას ულობავს უფრო ნიჭიერ სპორტსმენს. ეს ვარაუდი არ გახლავთ. ასეთი რამ ხშირად მომხდარა.

როცა მთავარ მსაჯს თავად მიჰყავს შეჯიბრებაზე ვინმე ან თვითნებურად ჩასულს ასპარეზობის ნებას აძლევს, ეს უკვე აშკარა დანაშაულია. გ. ლარიბაშვილმა მშვენივრად იცის (იგი ხომ მწვრთნელიც არის), ვის რა შეუძლია. ისინი, ვინც მან დამატებით დაუშვა შეჯიბრებაზე, არაფრით გამოირჩევიან იმათგან, ვინც შინ დარჩა. პირიქით, სპეციალისტების აზრით, შინ დარჩენილები მათზე უკეთესი სპორტსმენებიც არიან, ვისაც ასე თავგამოდებით მფარველობენ.

მეორე თვითნებობა მოხდა სოხუმში, სადაც საქართველოს პირველობის „ბ" ჯგუფის შეჯიბრება ჩატარდა. აქ თბილისიდან 14 გოგონა და ამდენივე ჭაბუკი იყო საასპარეზოდ დაშვებული. დამატებით კი სამი ჩოგბურთელი ჩავიდა — მიხეილ მღებროვი („განთიადი", მწვრთნელი ვიქტორ ბაქში), სერგეი ერმოლოვი („განთიადი", მწვრთნელი ვ. ბაქში) და ირაკლი რუხაძე („დინამო", მწვრთნელი ბორის სენჩუროვი). აქ მთავარი მსაჯი თავად ბორის სენჩუროვი იყო. მანაც, გაფრთხილების მიუხედავად, დებულების გვერდის ავლით, თვითნებურად დაუშვა ეს სამი სპორტსმენი საასპარეზოდ. მღებროვმა ისე ითამაშა სოხუმში, რომ შესარჩევ ტურნირში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა. მწვრთნელთა და მსაჯთა თავგასულობა და კანონსაწინააღმდეგო მოქმედება (დებულება ხომ კანონია) ალბათ ამაზე შორს ველარ წავა.

რაღა გასაკვირია, რომ ამგვარი ფაქტები მშობელთა მეორე ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს. ჯერ ერთი, როგორც ვთქვით, იჩაგრება პერსპექტიული და ნიჭიერი ჩოგბურთელი, მეორეც, გამონაკლისს ყველასთვის ხომ არ უშვებენ? მწვრთნელებზე განაწყენებული მშობლები განცხადებას წერენ და სხვა სპორტულ საზოგადოებაში გადაჰყავთ თავიანთი შვილები. იქ კი მათ ხელგაშლით ხვდებიან — ან კი რას კრაგავენ, თუ მზამზარეული სპორტსმენი მიადგათ კარს? ასეთი რეციდივების კვალი უფრო შორსაც მიდის. მოკავშირე რესპუბლიკები უარს ამბობენ სხვადასხვა ტურნირში საქართველოდან ჩოგბურთელთა მიწვევაზე. რატომ? იმიტომ, რომ მიწვეულებზე ორჯერ მეტი ჩადის. ამას დაუმატეთ მშობლები... ამასთან ბევრი სირთულეა დაკავშირებული, თუნდაც დაუპატიჟებელ სტუმართა დაბინავება აიღეთ. ამიტომ აღარ უშვებენ ჩვენს ჩოგბურთელებს, მაგალითად, ლვოვის ტურნირზე.

და კიდევ: რატომ უვლიან გვერდს სადირექტივო ორგანოების გაფრთხილებას მოსწავლეების სკოლიდან განთავისუფლებისა და შეჯიბრებაში მონაწილეობის თაობაზე, ვისი ნებართვით სწყვეტენ ბავშვებს სწავლას? ვფიქრობთ, ეს საკითხიც მკაცრი მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

სამწუხაროდ, ზემოთ აღნიშნული დარღვევები მხოლოდ ჩოგბურთს არ ეხება. ანალოგიური ვითარებაა სპორტის ზოგიერთ სხვა სახეობაშიც. მათ შესახებ შემდგომში გვექნება საუბარი.

გვიმრავლოს!



# ენთუზიასტი მწვრთნელი და მისი აღსაზრდელები

ალეკო ქილიტაურმა კალათბურთის თამაში „მართვეს" სულ პირველ გუნდში დაიწყო. მამამისი გივი შეჯიბრებას კი არა, ვარჯიშს არ აცდენდა და მწვრთნელებს რითაც შეეძლო ყველაფერში ეხმარებოდა.

მერე და მერე ალეკომ მსაჯობა დაიწყო, ჯერ თანატოლთა თამაშებს სჯიდა, მერე, როცა დასტატდა, უფრო მოზრდილთა შეხვედრების ბედსაც ანდობდნენ. ახლა ალეკო უკვე საკმაოდ კვალიფიციურ არბიტრად ითვლება. მას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც იწვევენ, რაც ამ მზარდი არბიტრის შესაძლებლობებზე მეტყველებს.

შვილის გატაცება თანდათან მამასაც გადაედო. უფროსმა ქილიტაურმა ბავშვთა გუნდის წვრთნას მიჰყო ხელი და სულ მალე თანამოაზრეთა კოლექტივიც შეკრა. ენთუზიაზმსა და საქმის უანგარო სიყვარულს სასწაულის მოხდენა შეუძლია. გივი ქილიტაური, უმცროსი ასაკის ბავშვთა გუნდის მწვრთნელი, ადამიანი, რომელსაც სპეციალური საკალათბურთო განათლება არ მიუღია, დღეს ნორჩების საყვარელი და საამაყო მწვრთნელია.

მაგრამ ამ ურთიერთობას მარტო სიყვარული და პატივისცემა როდი ამტკიცებს, ენთუზიასტმა მწვრთნელმა შექმნა კოლექტივი, რომელსაც ანგარიშს უწევენ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელს კავშირში.

ერთი საინტერესო ფაქტი. შარშან, შემოდგომაზე, მოსკოვში დიდი საკალათბურთო ფესტივალი მოეწყო, რომელსაც საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი იუგოსლაველი ბორა სტანკოვიჩიც დაესწრო. აი, ამ ფესტივალზე კალათბურთელთა ტურნირში ყველას გივი ქილიტაურის აღსაზრდელებმა აჯობეს, ეს დიდი ამბავი იყო.

აგერ ახლა კი, ბათუმში ჩატარდა 1973-1974 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელშიც თბილისის ორი გუნდის გარდა სოხუმის, ქუთაისის, რუსთავისა და ბათუმის ნორჩი კალათბურთელები მონაწილეობდნენ. თბილისის ორივე გუნდი განათლების სამმართველოსთან არსებული ოლიმპიური რეზერვის საკალათბურთო სკოლის აღსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული („მართვე" I და II) და მათი მწვრთნელი გივი ქილიტაური გახლდათ. ენთუზიასტი მწვრთნელის ბიჭებმა ტურნირში პირველ-მეორე ადგილები დაიკავეს, მაგრამ მთავარი ამჯერად ეს არ არის. ჩვენ უფრო მეტჩების ანგარიშმა გაგვაკვირვა.

„მართვე" I-ის უპირატესობა რომ აშკარა იყო, ამაში შედეგები გვარწმუნებს: — სოხუმელებთან მათ ანგარიშით 83:13 გაიმარჯვეს, ბათუმელებთან — 55:10, ქუთაისელებთან — 49:13, რუსთაველებთან — 61:23. დაახლოებით ასეთივე უპირატესობა ჰქონდა „მართვეს" II გუნდსაც. გივი ქილიტაურს დამსახურებას როგორ დავუკარგავთ — ბიჭები ბრწყინვალედ მოუმზადებია და გუნდებმაც, ცხადია, შეჯიბრებაში ადგილებიც შესაფერისი დაიკავეს, მაგრამ გულს გვწყვეტს და საგონებელში გვაგდებს ის, რომ სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის წარმომადგენლებმა გამარჯვებულებს ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

დიახ, ხალისი, მონდომება, ენთუზიაზმი სპორტში დიდი საქმეა. გივი ქილიტაურის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან არაფრისგან შექმნა გუნდი. იქნებ მისი მაგალითისთვის ჩვენს დიპლომიან მწვრთნელებსაც მიებაძათ?

**ნინო ინწკირველი.**

**ს უ რ ა თ ზ ე: „მართვეს" პირველი და მეორე გუნდი. მარჯვნივ — უფროსი მწვრთნელი გივი ქილიტაური, მარცხნივ — მწვრთნელი გივი ჩინჩალაძე.**

პრესიდან შევიტყვეთ, რომ ახლახან დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე ცნობილმა ქუთაისელმა კლასიკური სტილის მოჭიდავემ თეიმურაზ აფხაზავამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გთხოვთ დაწვრილებით გვიამბოთ ამ ჩემპიონატზე, აფხაზავას გამოსვლაზე, გვაინტერესებს ინარჩუნებს თუ არა იგი მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის შანსს.

**მერაბ მეტრეველი, გიგო დვალიშვილი, გენადი ცალანი.**
თბილისი.

მკითხველი — გაზეთი

ჩვენ ქუთაისში დავუკავშირდით თეიმურაზ აფხაზავას. აი, რა თქვა მან: „სიმართლე გითხრათ, შარშან, მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ, გადაწყვეტილი მქონდა აღარ გამოვსულიყავი სარბიელზე, მაგრამ საკავშირო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გენადი საპუნოვმა მთხოვა, ნუ დაგვაღალატებ, კიდევ ერთი წელი ივარჯიშეო. მაინცადამაინც დიდი ენთუზიაზმი არ გამომიჩენია, მაგრამ როსტოვში საკავშირო ჩემპიონატზე მაინც ვიჭიდავე. მაშინ წონაში დაკლება გამიჭირდა და 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოვედი. იმ ჩემპიონატზე ჩემმა „მემკვიდრემ", უფელმა აბდულ ბასირ ბატალოვმა მხარი ამოიგდო, მაგრამ მწვრთნელებს იმედი არ დაუკარგავთ, რომ იგი ევროპის ჩემპიონატამდე გამოჯანმრთელდებოდა. ერთ-ერთ საწვრთნელ შეკრებაზე ბატალოვმა მეორედ იტკინა მხარი და საოპერაციო გახდა. სწორედ მაშინ გადაწყდა ევროპის ჩემპიონატზე მე მეჭიდავა. დრო ცოტა რჩებოდა და ისე ვერ მოვემზადე, როგორც საჭირო იყო.

ახლა უშუალოდ შეჯიბრებაზე. მე სულ ხუთჯერ გამოვედი ხალიჩაზე. სტარტზე წმინდად დავამარცხე იუგოსლაველი მოჭიდავე, მეორე წრეში კი უნგრელ კომარომს შევხვდი. კომარომი — შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — ახალგაზრდა, ფიზიკურად ძლიერი ბიჭია. ეს იყო ჩვენი მეორე შეხვედრა (შარშანწინ „მეგობრობა—84"-ის საერთაშორისო ტურნირში ქულებით მოვუგე). ყველაფერი პირველივე წუთზე გადაწყდა: მე სამი ქულა ავიღე, მეტოქემ — ოთხი. ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა. ცდა არ დამიკლია, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე — უფრო მეხუხებოდა, ვიდრე მეჭიდავებოდა. კომარომმა ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, შემდეგ ფინალიც მოიგო და ჩემპიონი გახდა... მესამე წრეში წმინდად დავამარცხე ბერძენი ტანაპულისი, მეოთხეში ქულებით — ფინელი სალომიაკი, ბრინჯაოს მედლისათვის ბრძოლა კი აშკარა უპირატესობით მოვუგე ბულგარელ ბონჩევს.

ოქტომბერში ბუდაპეშტში მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს, მანამდე ერევანში მოეწყობა პოდუბნის სახელობის დიდი საერთაშორისო ტურნირი. მწვრთნელებმა ამ ტურნირიდან გამათავისუფლეს და სპეციალური საწვრთნელი გეგმა მომცეს. ალბათ მსოფლიო ჩემპიონატზე მომიწევს გამოსვლა. დიახ, დღეს უკვე მსოფლიო ჩემპიონის მესამე მედალზე ვფიქრობ".

# ასპარეზობენ ჭაბუკები

თბილისის მძლეოსნობის სასახლეში გამართულ ჭაბუკთა რესპუბლიკურ ღია პირველობაში პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების 123 თავისუფალი სტილის მოჭიდავე მონაწილეობდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ნოდარ შიხიაშვილმა („განთიადი"), არსენ ბერიძიშვილმა (პროფკავშირული სპორტსაზოგადოება), მურად ჩხაიძემ („განთიადი"), გოჩა კაპანაძემ („ლოკომოტივი"), დავით თვაურმა („განთიადი"), ზაზა გობეჯიშვილმა („სპარტაკი"), გია პატაშაურმა („განთიადი"), რამაზ ბუზარიაშვილმა (პროფკავშირული სპორტსაზოგადოება), პაატა კერესელიძემ („ბურევესტნიკი"), ზვიად მაისურაძემ („განთიადი"), ვასილ ციხისელმა (პროფკავშირული სპორტსაზოგადოება) და დავით კობახიძემ („განთიადი").

შეჯიბრებამ საშუალება მოგვცა შეგვემოწმებინა სპორტსაზოგადოებებში მიმდინარე მუშაობა, შეგვერჩია პერსპექტიული მოჭიდავეები. სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურეს არსენ ბერიძიშვილმა, მურად ჩხაიძემ, ზაზა გობეჯიშვილმა, რამაზ ბუზარიაშვილმა და სხვებმა. ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი გობეჯიშვილმა მიიღო.

**როინ დოლიძე, ჭარხოლიჯ,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.**

MEXICO 86

წარმოგიდგენთ ფინალისტებს

# მექსიკა-86

## ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 2 დღე

## შოტლანდია

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შოტლანდიის ნაკრები სასწაულით მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა რიცხვში. მისი წარმატება, ფაქტიურად, შემთხვევამ განაპირობა: ევროპის VII შესარჩევი ჯგუფიდან მექსიკის საგზურს მხოლოდ პირველ ადგილზე გასული გუნდი იღებდა, ხოლო მეორე ადგილზე გასული ნაკრები ფინალურ ტურნირში მოსახვედრად ოკეანიის ზონაში გამარჯვებულ ავსტრალიის გუნდს უნდა შეხვედროდა. ამ ჯგუფში ყველაზე მეტი ქულა ესპანელებმა მოაგროვეს, მეორე ადგილისთვის კი შოტლანდიელები და უელსელები იბრძოდნენ. მათ შორის გადამწყვეტი მატჩი გაიმართა ამ უკანასკნელთა მინდორზე, კარდიფში. მასპინძლები მოგების შემთხვევაში ავსტრალიელებთან თამაშის უფლებას მიიღებდნენ, ხოლო შოტლანდიელებს ამისთვის ფრეც ჰყოფნიდათ. შეხვედრის დამთავრებამდე 9 წუთი იყო დარჩენილი (ამ მომენტისთვის წინ უელსელები იყვნენ — 1:0), როცა ჰოლანდიელმა არბიტრმა კაიზერმა მასპინძელთა კარში დანიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა კუპერმა — 1:1. ამ ფრემ შოტლანდიელებს ჯერ ავსტრალიის ნაკრებთან შეხვედრის უფლება, შემდეგ კი მექსიკის საგზური მოუტანა (შინ მათ დაამარცხეს ავსტრალიელები — 2:0, სტუმრად კი ფრედ ითამაშეს — 0:0).

კი მაგრამ, წერილის დასაწყისში ნახსენები სასწაული რაღა შუაშია? — ასეთი კითხვა უთუოდ დაგებადებოდათ. საქმე ის არის, რომ ვიდეოჩანაწერის ნახვისას ყველა (მათ შორის თვით ჰოლანდიელი მსაჯიც) დარწმუნდა, რომ მასპინძელთა საჯარიმოში ხელით უთამაშია... ერთ-ერთ შოტლანდიელ ფეხბურთელს და არა უელსელ მცველს, როგორც ეს კაიზერს მოეჩვენა. ასეა თუ ისე, გვიანღა იყო თითზე კბენანი — უელსის ნაკრები ბრძოლას გამოეთიშა და გზა დაუთმო თავის მეზობლებს — შოტლანდიელებს.

მაგრამ ამ უკანასკნელთა სიხარული ერთმა მეტად სამწუხარო ამბავმა გაანელა: ხსენებული მატჩის დროს გულის შეტევა მოუვიდა შოტლანდიის ნაკრების უფროს მწვრთნელს 62 წლის ჯოკ სტინს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სტინი შეცვალა „აბერდინის" მწვრთნელმა, 44 წლის ალექს ფერგიუსონმა, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი უახლოეს ამოცანას — ავსტრალიელთა დამარცხებას — და ფინალური ტურნირისთვის მოთამაშეთა შერჩევას შეუდგა.

როცა მან მექსიკაში გამგზავრების კანდიდატთა 22-კაციანი სია გამოაქვეყნა, ადგილობრივი ჟურნალისტებისა და სპეციალისტების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: სიაში შეყვანილი არ იყო რამდენიმე მეტად ძლიერი, გამოცდილი ფეხბურთელი, მათ შორის — ინგლისის „ლივერპულის" კაპიტანი ალან ჰანსენი და ესპანეთის „ბარსელონის" თავდამსხმელი სტივ არჩიბალდი. თუმცა, ცოტა მოგვიანებით არჩიბალდი მაინც მიიწვიეს ნაკრებში: კვლავ დაშავდა ეროვნული გუნდის სული და გული, 35 წლის კენი დალგლიში.

რაც შეეხება ჰანსენს, იგი ბრიტანეთში დარჩა. ფერგიუსონმა მას სათადარიგო მოთამაშედ წასვლა შესთავაზა, რაზეც ფეხბურთელი არ დათანხმდა — მან ხომ ბრწყინვალედ ჩაატარა ახლახან დამთავრებული სეზონი, რომელშიც მისმა გუნდმა, „ლივერპულმა" ინგლისის ჩემპიონობაც მოიპოვა და თასსაც დაეპატრონა.

მიუხედავად დალგლიშის, ჰანსენის და რამდენიმე სხვა ძლიერი მოთამაშის არყოფნისა, შოტლანდიის ნაკრებში მაინც არიან საქვეყნოდ ცნობილი ოსტატები გრემ სუნესი (ინგლისის „ლივერპულიდან"), გორდონ სტრაქანი (ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედიდან"), ჩარლი ნიკოლასი (ინგლისის „არსენალიდან") და სხვანი. წლევანდელი სეზონის აღმოჩენად ითვლება ინგლისის „ვესტ ჰემ იუნაიტედის" ახალგაზრდა თავდამსხმელი ფრენკ მაკავენი, რომელზეც ფერგიუსონი დიდ იმედებს ამყარებს. უწერია თუ არა ამ იმედს გამართლება, სულ მალე შევიტყობთ.

**შოტლანდია**

**დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ნაწილი.**
**მდებარეობს კუნძულ დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთში.**
**ტერიტორია — 78,7 ათასი კვ. კმ.**
**მოსახლეობა — 52 მილიონი ადამიანი (1978).**
**დედაქალაქი — ედინბურგი.**
**შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაცია (სქოთიშ ფუთბოლ ასოსიეიშნ) დაარსდა 1873 წელს.**
**ფიფა-ს წევრი გახდა 1910 წელს (გარდა 1921-1923 და 1929-1945 წლებისა).**
**უეფა-ს წევრი გახდა 1954 წელს.**
**უდიდესი სტადიონები: გლაზგოს „ჰემპდენ პარკი" (84 000), გლაზგოს „სელტიკ პარკი" (78 600), გლაზგოს „აიბროქსი" (75 000), ედინბურგის „ისტერ როუდ პარკი" (50 000).**
**ნაკრების პირველი მატჩი: 1872 წელი. გლაზგო. ინგლისი — 0:0. სულ დღეისთვის: 481 თამაში, 246 მოგება, 98 ფრე, 137 წაგება, ბურთების სხვაობა 884-625.**

### შოტლანდიის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში

| № თარიღი | ეტაპი | ქალაქი | მეტოქე | ანგარიში | შოტლანდიელთა გოლები |
|---|---|---|---|---|---|
| 1. 16.06.1954 | ჯგ | ციურიხი | ავსტრია | 0:1 | |
| 2. 19.06. " | " | ბაზელი | ურუგვაი | 0:7 | |
| 3. 8.06.1958 | ჯგ | ვესტეროსი | იუგოსლავია | 1:1 | მიურეი |
| 4. 11.06. " | " | ნორჩიოპინგი | პარაგვაი | 2:3 | კოლინზი, მადი |
| 5. 15.06. " | " | ერებრუ | საფრანგეთი | 1:2 | ბეირდი |
| 6. 14. 06.1974 | ჯგ | დორტმუნდი | ზაირი | 2:0 | ლორიმერი, ჯორდანი |
| 7. 18.06. " | " | მაინის ფრანკფ. | ბრაზილია | 0:0 | |
| 8. 22.06. " | " | მაინის ფრანკფ. | იუგოსლავია | 1:1 | ჯორდანი |
| 9. 3.06.1978 | ჯგ | კორდობა | პერუ | 1:3 | ჯორდანი |
| 10. 7.06. " | " | კორდობა | ირანი | 1:1 | ესქანდარიანი (საკ. კარში) |
| 11. 11.06. " | " | მენდოსა | ჰოლანდია | 3:2 | გემილი (2), დალგლიში |
| 12. 15.06.1982 | ჯგ | მალაგა | ახალი ზელანდია | 5:2 | უორკი (2); დალგლიში, რობერტსონი, არჩიბალდი |
| 13. 18.06. " | " | სევილია | ბრაზილია | 1:4 | ნეირი |
| 14. 22.06. " | " | მალაგა | სსრ კავშირი | 2:2 | ჯორდანი, სუნესი |

### შოტლანდიის ნაკრების შედეგები ცალკეულ ჩემპიონატებში

| წელი | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1954 | 2 | 0 | 0 | 2 | 0-8 |
| 1958 | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 |
| 1974 | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 |
| 1978 | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 |
| 1982 | 3 | 1 | 1 | 1 | 8-8 |
| სულ | 14 | 3 | 5 | 6 | 20-29 |

### შოტლანდიის ნაკრების შედეგები მსოფლიო პირველობათა შესარჩევ ტურნირებში

| 1949-1985 | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| შინ | 26 | 18 | 4 | 4 | 59-26 |
| სტუმრად | 24 | 11 | 4 | 9 | 38-30 |
| ნეიტრალურ მინდორზე | 1 | 0 | 0 | 1 | 2-4 |
| სულ | 51 | 29 | 8 | 14 | 99-60 |

## ბელგია

XIII **მსოფლიო** ჩემპიონატის წინასწარი ჯგუფებიდან სპეციალისტები ყველაზე სუსტად მიიჩნევენ II ჯგუფს, სადაც პარაგვაის, ერაყისა და ფინალური ტურნირის მასპინძლის — მექსიკის ეროვნული გუნდების გარდა ბელგიის ნაკრებიც იასპარეზებს.

„წითელმა ეშმაკებმა" (ბელგიელებს ხშირად ასე უწოდებენ ჟურნალისტები) რის ვაი-ვაგლახით მოიპოვეს მექსიკის საგზური. თავიანთ შესარჩევ ჯგუფში მათ ვერაფრით გამოიჩინეს თავი და მეორე ადგილს დასჯერდნენ. თუმცა ასეთმა შედეგმა ბელგიელებს უფლება მისცა ორი დამატებითი მატჩი გაემართათ ჰოლანდიის ნაკრებთან. საკუთარ მინდორზე მათ მინიმალური ანგარიშით (1:0) გაიმარჯვეს. საპასუხო შეხვედრის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ისინი აგებდნენ (0:2) და მექსიკაშიც თითქოს მათი მეტოქე უნდა გამგზავრებულიყო. მაგრამ 87-ე წუთზე ბელგიელთა მცველმა, 24 წლის ჟორჟ გრიუნმა ერთი ბურთი გაქვითა — 1:2. სტუმრად გატანილი ამ გოლის წყალობით ბელგიელმა ფეხბურთელებმა მსოფლიო პირველობის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

მექსიკაში ამ ქვეყნის წარმომადგენლებს, თუ ნაკრების წევრებსა და მათ მწვრთნელს გი ტისს დავუჯერებთ, წარმატების მაინცდამაინც დიდი იმედი არ აქვთ. მაგალითად, გუნდის კაპიტანი, 32 წლის ერიკ გერეტსი ამბობს: „ჩვენი უპირველესი მიზანია დავძლიოთ წინასწარი ზღუდე და მერვედფინალისტთა რიცხვში მოვხვდეთ. მოკლედ, გვინდა უკეთ ვიასპარეზოთ, ვიდრე 1970 წელს იმავე მექსიკაში" (გულშემატკივართა უმეტესობას ალბათ ახსოვს, რომ მაშინ ბელგიის ნაკრები საბჭოთა ფეხბურთელებთან დამარცხდა (1:4), ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და მერვედფინალის მიღმა დარჩა).

ბელგიის ეროვნულმა გუნდმა დიდი მოწონება დაიმსახურა ევროპის 1980 წლის ჩემპიონატის დროს იტალიაში. მაშინ ბელგიელებმა ფინალამდე მიაღწიეს და მხოლოდ გადამწყვეტ მატჩი დათმეს დასავლეთ გერმანიის ნაკრებთან. მას შემდეგ იყო ესპანეთის მსოფლიო პირველობა (1982 წელს) და ევროპის 1984 წლის ჩემპიონატი, მაგრამ ბელგიის ნაკრებმა ვერც ერთხელ ვერ შეძლო თავისი წარმატების გამეორება.

ეროვნული ნაკრების შესუსტებას უდავოდ ხელი შეუწყო ამ ორიოდე წლის წინათ ბელგიაში მომხდარმა „საფეხბურთო სკანდალმა", რომელმაც ბევრი ცნობილი ოსტატი „შეიწირა". მათ შორის იყო გერეტსიც. სხვათა შორის, მას სულ ახლახან დაუმთავრდა დისკვალიფიკაციის ვადა და ფეხბურთელი არა მარტო დაუბრუნდა მინდორს, არამედ ნაკრებშიც კვლავ მოიკიდა ფეხი.

ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა 20 წლის ნახევარმცველი, წარმოშობით იტალიელი ენცო შიფო, რომლის თამაში თბილისელ გულშემატკივრებსაც უნახავთ. ბრიუსელის „ანდერლეხტის" ამ ნახევარმცველისთვის მომავალი ასპარეზობა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი იქნება და იგი, რა თქმა უნდა, ყოველნაირად შეეცდება გაამართლოს მისთვის შერქმეული „ვუნდერკინდის" სახელი.

**ბელგიის სამეფო**

**სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე.**
**ტერიტორია — 30,5 ათასი კვ. კმ.**
**მოსახლეობა — 9 მილიონ 850 ათასი ადამიანი (1982).**
**დედაქალაქი — ბრიუსელი.**
**ბელგიის ფეხბურთის ფედერაცია (უნიონ რუაიალ ბელჟიკ დე სოსიეტეს დე ფუტბოლ ასოსიასიონ) დაარსდა 1895 წელს.**
**ფიფა-ს წევრი გახდა 1904 წელს.**
**უეფა-ს წევრი გახდა 1954 წელს.**
**უდიდესი სტადიონები: ბრიუსელის „ეიზელი" (60 000), ანტვერპენის ბოსიუილი (60 000), ლიეჟის „სკლესენი" (43 000), ბრიუსელის „კონსტან ვანდენშტოკი" (40 000), ლიეჟის „როკური" (40 000).**
**ნაკრების პირველი მატჩი: 1.05. 1904. ბრიუსელი. საფრანგეთი — 3:3. სულ დღეისთვის: 452 თამაში, 175 მოგება, 86 ფრე, 191 წაგება, ბურთების სხვაობა 793-891.**

### ბელგიის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში

| № თარიღი | ეტაპი | ქალაქი | მეტოქე | ანგარიში | ბელგიელთა გოლები |
|---|---|---|---|---|---|
| 1. 13.07.1930 | ჯგ | მონტევიდეო | აშშ | 0:3 | |
| 2. 20.07. " | " | მონტევიდეო | პარაგვაი | 0:1 | |
| 3. 27. 05.1934 | 1/8 | ფლორენცია | გერმანია | 2:5 | ფოორჰოოფი (2) |
| 4. 5.06.1938 | 1/8 | პარიზი | საფრანგეთი | 1:3 | ისემბორგსი |
| 5. 17.06.1954 | ჯგ | ბაზელი | ინგლისი | 4:4 | ანული (2), კოპენსი, დიკინსონი (ინგ. საკ. კარში) |
| 6. 20.06. " | " | ლუგანო | იტალია | 1:4 | ანული |
| 7. 3.06.1970 | ჯგ | მეხიკო | სალვადორი | 3:0 | ვან მური (2), ლამბერი |
| 8. 6.06 " | " | მეხიკო | სსრ კავშირი | 1:4 | ლამბერი |
| 9. 11.06. " | " | მეხიკო | მექსიკა | 0:1 | |
| 10. 13.06.1982 | ჯგ | ბარსელონა | არგენტინა | 1:0 | ვანდენბერგი |
| 11. 19.06. " | " | ელჩე | სალვადორი | 1:0 | კოეკი |
| 12. 22.06. " | " | ელჩე | უნგრეთი | 1:1 | ჩერნიატინსკი |
| 13. 28.06. " | II ეტ | ბარსელონა | პოლონეთი | 0:3 | |
| 14. 1.07. " | II ეტ | ბარსელონა | სსრ კავშირი | 0:1 | |

### ბელგიელთა შედეგები ცალკეულ ჩემპიონატებში

| წელი | ქვეყნები | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1930 | ურუგვაი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 |
| 1934 | იტალია | 1 | 0 | 0 | 1 | 2-5 |
| 1938 | საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 |
| 1954 | შვეიცარია | 2 | 0 | 1 | 1 | 5-8 |
| 1970 | მექსიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 |
| 1982 | ესპანეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-5 |
| სულ | | 14 | 3 | 2 | 9 | 15-30 |

### ბელგიის ნაკრების შედეგები მსოფლიო პირველობათა შესარჩევ ტურნირებში

| 1934-1985 | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| შინ | 28 | 20 | 4 | 4 | 65-23 |
| სტუმრად | 26 | 9 | 6 | 11 | 40-46 |
| ნეიტრალურ მინდორზე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 |
| სულ | 55 | 29 | 10 | 16 | 106-71 |

## სამხრეთ კორეა

**სამხრეთ** კორეის ნაკრები მეორედ იასპარეზებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. როდესაც გუნდის მწვრთნელს კიმ იუნ ნამს ჰკითხეს, რას მოელით მექსიკის ტურნირისგანო, მან უპასუხა: „მხოლოდ ერთს გეტყვით — ამჯერად ჩვენი ნაკრების შედეგი იქნება უკეთესი, ვიდრე 1954 წელს იყო". თუ გავიხსენებთ, რომ 32 წლის წინათ შვეიცარიაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის დროს სამხრეთკორეელებმა მხოლოდ ორი მატჩი გამართეს და ორივეში გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდნენ (უნგრეთთან — 0:9, თურქეთთან — 0:7), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კიმ იუნ ნამი შეასრულებს დაპირებას.

ახლა ჟურნალისტები 1954 წელზე ხშირად იხსენებენ 1966 წელს, VIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებს, როცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა გააკვირვა მრავლისმნახველი ფეხბურთის სამშობლო, მთელი მსოფლიო, მეოთხედფინალში გავიდა და მხოლოდ იქ დამარცხდა მომავალ მესამე პრიზიორთან — პორტუგალიის ძლიერ ნაკრებთან. ინგლისის სტადიონებზე 20 წლის წინათ მომხდარ ამბებს მიმომხილველები იმიტომ იხსენებენ, რომ მაშინ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა ჯგუფურ ტურნირში სენსაციური გამარჯვება იზეიმა იტალიის გუნდთან (1:0), წლეულს კი, მექსიკაში, იტალიისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენლები ერთ ჯგუფში არიან. რა თქმა უნდა, ეს სხვა არაფერია, თუ არა პრესის მუშაკთა გასაგები ლტოლვა სენსაციური ანალოგიისადმი, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ კიმ იუნ ნამი სულაც არ თვლის ამ ანალოგიაზე ლაპარაკს რიტორიკულად. მან განაცხადა: „თუ ჩემმა ბიჭებმა შეძლეს გაუძლონ მეტოქეთა მაღალი ავტორიტეტის ჰიპნოზს, შეიძლება გარკვეულ წარმატებაზე ფიქრი. მათ უნდა ირწმუნონ, რომ არავისზე ნაკლები არ არიან".

სამხრეთკორეელებს მართლაც ჰყავთ მაღალი კლასის ფეხბურთელები. იგივე ბუმ კუნ ჩა, რომელიც კარგა ხანია დასავლეთ გერმანიის ბუნდესლიგაში თამაშობს და ევროპის ტურნირებში გამოსვლისას საბჭოთა კლუბების წინააღმდეგაც უასპარეზია. იგი ევროპაში კარგადაა ცნობილი. პაკ ჩან სუნს „აზიელი პლატინი" შეარქვეს და ეს „ეპითეტი" ალბათ ყველაზე ნათლად მეტყველებს მისი თამაშის კლასზე. გარდა ამ ორი ფეხბურთელისა, სპეციალისტები გამოყოფენ გამოცდილ ჩოი სუნ ჰოსა და ჯერ სრულიად ახალგაზრდა, 21 წლის ზონ ბუ კიმს, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

**სამხრეთ კორეა**

**სახელმწიფო აღმოსავლეთ აზიაში.**
**ტერიტორია — 99,6 ათასი კვ. კმ.**
**მოსახლეობა — 40 მილიონი ადამიანი (1985).**
**დედაქალაქი — სეული.**
**სამხრეთ კორეის ფეხბურთის ფედერაცია (კორეა ფუტბოლ ასოსიეიშნ) დაარსდა 1928 წელს.**
**ფიფა-ს წევრი გახდა 1948 წელს.**
**აფკ-ის წევრი გახდა 1954 წელს.**
**უდიდესი სტადიონი სეულში იტევს 30 000 მაყურებელს.**
**სამხრეთ კორეის ნაკრები ორჯერ იყო აზიის ჩემპიონი (1956, 1960 წლები), 1980 წელს კი გაიმარჯვა აზიის თამაშებში.**

### სამხრეთ კორეის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში

| № თარიღი | ეტაპი | ქალაქი | მეტოქე | ანგარიში |
|---|---|---|---|---|
| 1. 17.6.1954 | ჯგ | ციურიხი | უნგრეთი | 0:9 |
| 2. 20.6. " | " | ჟენევა | თურქეთი | 0:7 |

### სამხრეთ კორეის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში

| 1954-1985 | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| შინ | 24 | 14 | 8 | 2 | 45-18 |
| სტუმრად | 14 | 5 | 5 | 4 | 17-16 |
| ნეიტრალურ მინდორზე | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 |
| სულ | 41 | 21 | 13 | 7 | 69-37 |

მოგვყავს რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის სტატისტიკური მონაცემები.

## აღმოსავლეთი ჯგუფი

**„იმედი" (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: გაბელია („იმედი"), ბენიძე (ფიზკ. ინსტიტუტი).

**„სინათლე" (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 2:0. მსაჯი კ. დავიდიანი (ბათუმი).** გოლები: ქარქაშაძე, დემეტრაშვილი („სინათლე").

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს თბილისელი ვ. ხაჩატურიანი.

**„არმაზი" (მცხეთა) — „ივერია" (ხაშური) 3:1. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).** გოლები: ხუცურაული, ზუკაკიშვილი, გულბათაშვილი („არმაზი"), ხაჩიძე („ივერია"). ხაშურელმა ოსაძემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

დისციპლინის დარღვევისთვის გააფრთხილეს მცხეთელი ფეხბურთელები მ. ხუცურაული, გ. გულბათაშვილი და ვ. სეხნიაშვილი.

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — „კახეთი" (თელავი) 1:2. მსაჯი ვ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: დოგუზოვი („სპარტაკი"), რაზმაძე, ბაქრაძე („კახეთი").

**„ქართლი" (გორის რ-ნი) — სპი-„შევარდენი" (თბილისი) 0:2. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).** გოლები: ჯიშკარიანი, ჯაკობია (სპი-„შევარდენი"), 11-მეტრიანები ვერ გამოიყენეს გორელმა ფეხბურთელებმა ახალკაცმა და დალაქიშვილმა.

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს თბილისელი ფეხბურთელი გ. ჯაკობია, ხოლო გორელი ი. ახალკაცი და თბილისელი გ. მენთეშაშვილი — უხეში თამაშისთვის.

**ასკ (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:2. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: გურიელიძე, ლაბაძე („მეტალურგი").

მსაჯთან კამათისა და უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თბილისელი ფეხბურთელები მ. ნუცუბიძე და გ. ფარფალია.

## დასავლეთი ჯგუფი

**„დინამო" (ზუგდიდი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 7:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).** გოლები: ვ. თუთბერიძე-3 რიგვავა-2, როგავა, კუკავა („დინამო"), გუჩუა („ამირანი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს „ამირანის" ფეხბურთელი ჯ. ქვანია.

**„დინამო" (გაგრა) — „ეგრისი" (ცხაკაია) 1:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: კვარაცხელია („დინამო"), კიკალეიშვილი („ეგრისი").

**„ბახმარო" (ჩოხატაური) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლი: ოსეფაშვილი („ბახმარო").

წესრიგის დარღვევისთვის გააფრთხილეს მახარაძელი ფეხბურთელები თ. ღლონტი და ბ. კაშია, აგრეთვე, ჩოხატაურელი ზ. ჩხიკვაძე.

**„სქური" (წალენჯიხა) — „სულორი" (ვანი) 1:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლი: ზარქუა („სქური").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ვანელი ფეხბურთელები მ. ზენეიშვილი და ა. დვალიშვილი, აგრეთვე, წალენჯიხელი ა. აბრალავა. მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ბ. კვარაცხელია („სქური").

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „შადრევანი" (წყალტუბო) 4:0. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: კაჭარავა, ციმაკურიძე, ახალაია-2 („სამეგრელო").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს წყალტუბოელი ქ. გვაძაბია და ჩხოროწყუელი გ. ვაშაკიძე.

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: ფანჩულიძე, ჩინჩალაძე („საპოვნელა").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს დ. რუხაძე („საპოვნელა"), ხოლო გეგეჭკორელი ზ. ცანავა — მსაჯთან კამათისთვის.

# საქართველოს პირველობა

### II ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა.** „განთიადი" (კასპი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 4:1, „სიონი" (დმანისი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 1:1, „მუხნარი" (მუხრანი) — „თრიალეთი" (წალკა) 1:0, „კოლმეურნე" (მარნეული) — „შირაქი" (წითელი წყარო) 3:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „მშენებელი" (რუსთავი) 1:0, „არაგვი" (დუშეთი) — „ალგეთი" (მარნეული) 2:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ალაზანი" (გურჯაანი) 4:0.

**ცენტრალური ზონა.** „აბული" (ახალქალაქი) — „მესხეთი" (ახალციხე) 2:0, „რაჭა" (ამბროლაური) — „იბერია" (ქარელი) 4:1, „ხვამლი" (ცაგერი) — „კოლმეურნე" (ტყიბული) 1:0, „ლიახვი" (ცხინვალი) — „თორი" (ბორჯომი) 1:1, „მაღაროელი" (ჭიათურა) — პოლ. ინსტ. (ქუთაისი) 6:0, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „ზარზმა" (ადიგენი) 2:0, „იმერეთი" (წულუკიძე) — „მშენებელი" (ჭიათურა) 2:0, „ჩიხურა" (საჩხერე) — „ვარძია" (ასპინძა) 2:1.

**დასავლეთი ზონა.** „ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) — „სუბტროპიკი" (სოხუმი) 5:0, „დვაბზუ" (მახარაძე) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 1:1, „დინამო"-2 (ბათუმი) — „ზანა" (აბაშა) 1:2, „ალიონი" (გალი) — „კოლხეთმშენი" (ფოთი) 3:0, „კოლხეთი" (ხობი) — „ნარინჯი" (გონიო) 2:0, „მზიური" (გალი) — „ჩიბათი" (ლანჩხუთი) 5:1, „კოლმეურნე" (გაგრა) — „ნარინჯი" (ქობულეთი) 1:2, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „დინამო"-2 (ბათუმი) 2:3.

## გათამაშების ცხრილები

### აღმოსავლეთი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" | 11 | 8 | 1 | 2 | 22-8 | 17 |
| სპი-„შევარდ." | 9 | 6 | 1 | 2 | 19-9 | 13 |
| „კახეთი" | 10 | 6 | 1 | 3 | 18-18 | 13 |
| „ქართლი" | 10 | 5 | 1 | 4 | 8-10 | 11 |
| „მადნეული" | 10 | 5 | 0 | 5 | 18-15 | 10 |
| „არმაზი" | 9 | 4 | 2 | 3 | 13-10 | 10 |
| „სინათლე" | 11 | 4 | 2 | 5 | 6-8 | 10 |
| „დურუჯი" | 10 | 4 | 2 | 4 | 6-9 | 10 |
| ფიზკ. ინსტ. | 9 | 3 | 3 | 3 | 13-11 | 9 |
| „იმედი" | 10 | 1 | 6 | 3 | 6-10 | 8 |
| „სპარტაკი" | 9 | 3 | 1 | 5 | 8-13 | 7 |
| „ივერია" | 10 | 3 | 1 | 6 | 9-15 | 7 |
| ასკ თბ. | 10 | 1 | 1 | 8 | 3-13 | 3 |

### დასავლეთი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" ზ. | 11 | 8 | 0 | 3 | 31-15 | 16 |
| „სალხინო" | 11 | 6 | 3 | 2 | 17-10 | 15 |
| „სამეგრელო" | 10 | 6 | 0 | 4 | 14-8 | 12 |
| „მერცხალი" | 10 | 5 | 1 | 4 | 23-7 | 11 |
| „შადრევანი" | 10 | 5 | 0 | 5 | 19-15 | 10 |
| „საპოვნელა" | 10 | 5 | 0 | 5 | 19-16 | 10 |
| „ამირანი" | 10 | 5 | 0 | 5 | 12-18 | 10 |
| „დინამო" გ. | 10 | 4 | 2 | 4 | 14-16 | 10 |
| „სქური" | 10 | 4 | 2 | 4 | 11-17 | 10 |
| „ეგრისი" | 10 | 3 | 3 | 4 | 10-17 | 9 |
| „იმერეთი" | 10 | 3 | 2 | 5 | 6-11 | 8 |
| „სულორი" | 10 | 2 | 2 | 6 | 6-14 | 6 |
| „ბახმარო" | 10 | 2 | 1 | 7 | 7-15 | 5 |

# თვითნებობა, რომელსაც ტრაგედია მოჰყვა

## ეს ამბავი მოხდა მყინვარწვერზე

**5 მაისს** მყინვარწვერის ფერდობზე, 3657 მეტრის სიმაღლეზე მდებარე მეტეოსადგურიდან საქართველოს მთამსვლელთა კლუბმა საგანგაშო ცნობა მიიღო: „ზაპოროჟიელები მაილის პლატოზე ავიდნენ, აღარსად ჩანან".

2 მაისს მეტეოსადგურში შვიდი ახალგაზრდა ამოვიდა. მათ შორის სამი ქალი იყო. მეტეოსადგურში საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები ჯემალ ბოკუჩავა, კონსტანტინე ნორაკიძე, ვლადიმერ ტიშჩენკო და დიმიტრი უხარსკი დახვდნენ. ბოკუჩავამ მათ საბუთები გაუსინჯა. ქვეყნის ერთ-ერთი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები აღმოჩნდნენ. სამთო ტურისტთა და მთამსვლელთა წიგნაკებიც ჰქონდათ და ტურისტული მარშრუტის ფურცელიც, რომელზეც მწვერვალზე ასვლის ნებართვა იყო დაწერილი. ბოკუჩავა ამან დააეჭვა, რადგან სამთო ტურისტულ ჯგუფს მწვერვალზე ასვლის უფლება არა აქვს. ბოკუჩავა სწორად მოიქცა — მწვერვალზე ასვლა აუკრძალა მათ და საბუთებში შესაბამისი ჩანაწერიც გააკეთა. მაშინ ოთხმა ზაპოროჟიელმა განაცხადა, მხოლოდ მაილის პლატოზე ავალთ, იქ აკლიმატიზაციას გავივლით და 5 მაისს დავბრუნდებით. ის ოთხი დანარჩენებმა ააცილეს, პროდუქტის აზიდვაში მოეხმარნენ, კარავიც ლდგეს და ის სამი კვლავ მეტეოსადგურში დაბრუნდა. დათქმულ დღეს პლატოზე ასულები არ გამოჩენილან. ბოკუჩავამ განგაში ატეხა. მაილის პლატოზე ასულთ: პიოტრ კრასნიკოვს, ვიტალი ფედკოს და ანტონინა ვენგერენკოს ოლეგ ლუკინენკოს ხელმძღვანელობით, აკრძალვის მიუხედავად, მწვერვალზე ასვლა გადაუწყვეტიათ.

იმ დღეებში მწვერვალს ქარაშოტი დაატყდა თავს. ოთხეული იძულებული იყო გამოდარებას დალოდებოდა. 5 მაისს, როცა საკონტროლო ვადა ამოეწურათ და მეტეოსადგურში უნდა დაბრუნებულიყვნენ, როგორც იქნა, გამოიდარა. ადგნენ და მწვერვალისაკენ გაემართნენ. მიზანს მიაღწიეს, მაგრამ დაშვებისას არემარე კვლავ შედედებულ რძესავით სქელმა ნისლმა დაფარა. რამდენიმე ნაბიჯის იქით ერთმანეთის გარჩევა უჭირდათ. ძლიერი ქარიც ამოვარდა. პლატოზე ჩამოსულებმა დიდხანს ამაოდ ეძებეს კარავი, სადაც სათადარიგო თბილი ტანისამოსი და საძილე ტომრები ჰქონდათ. ამას ისიც დაემატა, რომ ხელთათმანები დაკარგეს. ამასობაში დაღამდა, დაღლილებმა თოვლი ამოთხარეს, შიგ ჩასხდნენ და ზემოდან ცელოფანი გადაიფარეს. ძლიერმა ქარმა ცელოფანი ნაფლეთებად აქცია...

ეს ყველაფერი მერე გახდა ცნობილი, მანამდე კი ბოკუჩავამ თბილისიდან მაშველ რაზმს უხმო. შვეულმფრენიც გამოიძახეს, მაგრამ მის იმედად არავინ დარჩენილა. ავდარში შვეულმფრენით რას გახდებოდნენ. გამთენიისას მეტეოსადგურიდან მაშველი რაზმი გავიდა. ბედად იქ იყო მოსკოვის არმიელთა ტურისტული კლუბის 56 წევრი. ხიფათში ჩავარდნილთა დასახმარებლად წასულთ ისინიც შეუერთდნენ. დათოვლილ კარავს მიაგნეს, მაგრამ ახლომახლო არავინ ჩანდა. მაშველი რაზმი პლატოს თითოეულ მეტრს იკვლევდა, მაგრამ ოთხეულს თითქოს მიწამ უყო პირი. ბოლოს, როგორც იქნა, უღელტეხილის ქედზე ლუკინენკო და ვენგერენკო გამოჩნდნენ. ხელფეხმოყინულებს ნაბიჯის გადადგმა აღარ შეეძლოთ. დანარჩენი ორიც ქედს გადაღმა იპოვეს. კრასნიკოვი სიკვდილს ებრძოდა. მაშველი ჯგუფის ექიმი ერთი საათის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა 24 წლის ახალგაზრდის სიცოცხლე ეხსნა. ცოცხლები მეტეოსადგურამდე ჩამოიყვანეს. დაღუპულიც იქამდე ჩამოასვენეს. ცოცხლების გადასარჩენად სასწრაფო დახმარება იყო საჭირო და მალე მყინვარწვერის მიდამოებში შვეულმფრენ „მი-8" გუგუნიც გაისმა. ქარი ქროდა, მაგრამ შვეულმფრენის ეკიპაჟმა — მეთაურმა ა. მაისურაძემ, მეორე პილოტმა გ. მეზვრიშვილმა და ბორტმექანიკოსმა გ. ოგანოვმა რისკის ფასად მოახერხეს საბერწეზე დაშვება. დაღუპულის აქამდე ჩამოსვენება დიდ დროს მოითხოვდა, ცოცხლების გადასარჩენად კი ყოველი წუთი ძვირფასი იყო, ამიტომ პირველ რიგში ისინი გადმოიყვანეს თბილისში.

დაშავებულთა სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, მაგრამ ექიმებმა თქვეს, უკეთეს შემთხვევაში, ხელ-ფეხის თითების ამპუტაცია გახდება საჭირო..

დაღუპულის ჩამოსასვენებლად, უამინდობის გამო, შვეულმფრენის გაფრენა ვეღარ მოხერხდა, ამიტომ კვლავ საქართველოს ალპიური კლუბის წევრებმა, სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა და ყაზბეგელმა მთამსვლელებმა ივაჟკაცეს. ჩვენც მათთან ერთად გავუდექით გზას.

ამაოდ ველოდით მყინვარწვერიდან ჯანლის გადაყრას. ალპიური კლუბის მთამსვლელთა მოწინავე ხუთკაციანი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ახალგაზრდა ალპინისტები: ვანო ვაშაყმაძე, გელა სულიკაშვილი, ბიძინა გუჯაბიძე, თორნიკე ბერიშვილი და ბენო ქაშაკაშვილი გზას გაუდგა. დილის 4 საათზე მას კვალში მიჰყვნენ ყაზბეგელი მთასვლელები ბექია წიკლაური, სატკო ქირიკაშვილი, თამაზ წიკლაური, ზურაბ სუჯაშვილი და სამაშველო სამსახურის წევრები პაველ კოლობოვი, ვაროჟან ვაროტიანი, ალექსანდრე სოლოვიოვი, პაველ გოლუბოვი, ზურაბ ნიაკონოროვი, იასიკ ანტონოვი და გრიშა აირაპეტოვი, რომლებსაც შოთა ქოქოშვილი ხელმძღვანელობდა. წელამდე თოვლში მიიკვლევდნენ გზას. თითოეულ ჯგუფს რადიოკავშირი ჰქონდა ყაზბეგის ტურბაზასთან, სადაც სამაშველო სამსახურის რადისტი „ანგარათი" იღებდა ცნობებს და იმავე აპარატით თბილისის ტურისტულ კლუბს უკავშირდებოდა. ყველა მღელვარებით ელოდა ცნობებს, რადგან ხიფათისგან არც მაშველები იყვნენ დაზღვეულნი. და აი, მყინვარს ქვემოთ, ყველაზე რთულ ადგილზე, უეცრად მომწყდარმა ზვავმა მაშველთა ნაკვალევი წაშალა. ზვავს ერთი ფეხის ნაბიჯზე გაასწრეს. მადლობა ღმერთს, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

ზაპოროჟიელთა ლაშქრობის შედეგები უკვე ცნობილია: ერთი დაღუპული, სამი ხელფეხმოყინული ახალგაზრდა და დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა. ეს არ მოხდებოდა, ბოკუჩავას აკრძალვა რომ ყურად ეღოთ. ზაპოროჟიელებმა არა მხოლოდ საკუთარი თავი გაწირეს, არამედ ისინიც, ვინც მათ დასახმარებლად შეება მთას.

მყინვარწვერზე დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ მთასთან ხუმრობა არ შეიძლება. მწვერვალზე ასვლის უფლება მხოლოდ მთამსვლელს აქვს და ისიც მხოლოდ სათანადო ნებართვის შემთხვევაში.

როცა მყინვარწვერიდან თბილისში საგანგაშო ცნობები მოვიდა, ხიფათში ჩავარდნილთა დასახმარებლად ყველა უმალ დაირაზმა. თავი არ დაზოგეს არც მთამსვლელებმა, არც სამთო ტურისტებმა და არც სანავიაციის მფრინავებმა. ფეხზე დადგა ყაზბეგის რაიონის ხელმძღვანელობა, რომლებმაც თავიანთ მთამსვლელებს მაშველად მალე მოუყარეს თავი.

შეიძლებოდა წერტილი აქ დაგვესვა, მაგრამ მყინვარწვერის ტრაგედიამ კიდევ ერთი რამ გამოააშკარავა. როცა დაღუპულის ჩამოსვენება გახდა საჭირო, მეტეოსადგურში არ აღმოჩნდა „აკია", რომელიც დაღუპულის ჩამოსვენებას გააიოლებდა. საქართველოს ალპურ კლუბს არ აღმოაჩნდა ისეთი რადიოგადამცემი („ანგარა"), როგორიც სამაშველო სამსახურს ჰქონდა. ამიტომ ალპური კლუბი თავის წარმომადგენლებს ვერ უკავშირდებოდა. ტურისტულ კლუბთან მხოლოდ ტელეფონის საშუალებით ამყარებდა კავშირს. თბილისში ტელეფონების უხეირო მუშაობით თავგაბეზრებულებს კი არ გაგიჭირდებათ იმის წარმოდგენა, როგორ ნერვიულობდნენ მყინვარწვერის ფერდობებიდან ცნობების მოლოდინში, რაც მთავარია, იკარგებოდა ძვირფასი დრო.

**ავთანდილ გურასაშვილი.**
(„ლელოს" სპეც. კორ.).

ყაზბეგი.

---

**გუშინ** ბათუმში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და დონის როსტოვის არმიელთა გუნდი.

თამაში დამთავრდა ბათუმელთა გამარჯვებით — 2:1.

## წყალბურთელ ქალთა საკავშირო ტურნირი

# თბილისელებმა გამარჯვებით დაიწყეს

**რამდენიმე** წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში წყალბურთელ ქალთა გუნდები ჩამოყალიბდა, მაგრამ მათმა შეჯიბრებებმა უკვე დიდი პოპულარობა მოიპოვა. მათი მონაწილეობით არა მხოლოდ ამხანაგური მატჩები, არამედ საკავშირო ტურნირებიც იმართება, სადაც თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდიც გამოდის. ჩვენმა ქალებმა წლევანდელი სეზონის დასაწყისში გამართულ საკავშირო ტურნირში III ადგილი დაიკავეს.



და აი, მოსკოვში დაიწყო წყალბურთელ ქალთა კიდევ ერთი საკავშირო ტურნირი, რომელშიც რვა გუნდი გამოდის. მათ შორისაა თბილისის „ბურევესტნიკიც". ასპარეზობის პირველ დღეს თბილისელ ქალებს უმასპინძლა მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უძლიერესად აღიარებული, მაგრამ თბილისელებთან შეხვედრაში მათ ვერაფერი გააწყეს და დამარცხდნენ 3:6.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 29 მაისი. დილის ტანვარჯიში — 9.. (2); საჭადრაკო სკოლა — 17.15 (1); რიტმული ტანვარჯიში — 20.3. (2); ბალტიისზღვისპირეთის ქვეყნების მრავალდღიანი ველორბოლა — 23.40 (2).

**საკავშირო რადიო.** 29 მაისი. ტანვარჯიში — 6.15 და 7.15; საწარმოო ტანვარჯიში — 12.00.

**საქართველოს რადიო.** 29 მაისი. დილის ტანვარჯიში — 6.23; სპორტისმოყვარულთათვის — 13.36.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი
1 ივნისი
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა
II ლიგა, IX ზონა
„ლოკომოტივი" (თბილისი) — „დილა" (გორი)

გათამაშდება ლატარია ორი მანქანა „ჟიგული" 21063-ს ... გოდ შესაძენად. მანქანების ... ვლა სტადიონის ტერიტორიაზე ... იწარმოებს სპეციალური საშუალ... ბილეთის ფასია 1 მანეთი, ხოლო „ლოკომოტივის" აბონემენტების მფლობელთათვის — 50 კაპიკი.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 31 მაისს და 1 ივნისს 11 საათიდან.

მატჩის დასაწყისი 19 საათზე.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ., 14 დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

**რედაქციის ტელეფონები:** სამდივნო — 93-97-52 ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53 წერილების განყოფილება — 93-97-55 „მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:** 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07502